მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2016 წლის 14 ივლისი

ქ. მარნეული

„მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის №10 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 190020020.35.159.016234, 09/03/2016 წ.) დანართი №1-ში და დანართს დაემატოს ,,მუხლი 9" შემდეგი რედაქციით.

,,მუხლი 9. განსაკუთრებული შემთხვევების განხილვა:

1. განსაკუთრებულ შემთხვევად ჩაითვალოს საკითხები, რომლებიც ვერ ჯდებიან წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებულ წესში და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოქალაქის ჯანმრთელობისათვის.

2. მიეცეს უფლებამოსილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მონაწილეობით, შეისწავლოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკითხები და საკრებულოს სხდომაზე მიღებული შესაბამისი სამართლებრივი აქტი აღსასრულებლად გადასცეს მარნეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნაბი აბდულაევი**